

ელენე კოშორიძე

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ – გიორგი ლეონიძის ლექსიკის ერთ-ერთი წყარო

ერთ-ერთი საყურადღებო გამოკვლევა, რომელიც მდიდარ საარქივო მასალას ეფუძნება და სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება, გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის (ლეონიძე 1958: 128-186).

ჩანს, არქივზე მუშაობამ მტკიცე ხიდი გადო გიორგი ლეონიძესა და მის სახელოვან წინაპარს შორის. სწორედ საბას ლიტერატურული და ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის სიღრმისეული წვდომის შედეგია ის საზიარო ლექსიკა, რომლის პირველწყაროდ სულხან-საბას „სიტყვის კონა“ მივიჩნით.

ჩვენი ყურადღება მიიქცია თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით ნაკლებად აქტიურმა ლექსიკამ, რომელიც ქეგლში საბას მიხედვითაა განმარტებული და ლიტერატურული მასალით არ არის დამოწმებული, ან დამოწმებულია გიორგი ლეონიძის სიტყვებით.

ლექსიკის ერთი ნაწილი თავისი ძირითადი ფორმითა და მნიშვნელობითაა შესული გიორგი ლეონიძის ენაში; მაგალითად: **ჩარა, ქია, ზანგელა, ლუმბა**.

ჩარა – ეს სიტყვა აღმოსავლეთიდანაა შემოსული: ერთი მხრივ – სპარსულიდან და აღნიშნავს **ილაჯს, ძალას, ღონეს**, ხოლო, მეორე მხრივ, თურქულიდან – **სასმისის** მნიშვნელობით. საბას განმარტებით: **ჩარა** არის „კათხასავით სასმისი ყურიანი“. ამავე მნიშვნელობითაა გიორგი ლეონიძესთანაც: „ღვინოს სვამდნენ **ჩარებით**, ჰქონდათ რკინის წვივები“ (ლეონიძე 1984: 190).

ჩარა ქეგლში განმარტებულია საბას მიხედვით და დამოწმებულია გ. ლეონიძის სიტყვებით (ქეგლ 1964).

ქია – ძველქართული სიტყვაა. საბას განმარტებით: „მაიმუნის ჯიში ერთგვარი“ (საბა 1966). ეს სიტყვა დასტურდება დიალექტებშიც. ქართლურში წამოძახილია და გაცეხას გამოხატავს: „ვაი შენს **ქიას**“, ხოლო ფშავ-ხევსურეთში ორგვარი ახსნა აქვს: „1. სამასხრო, სასაცილო, არასერიოზული; ან 2. ულაზათო,

არასანდომიანი“ (ჭინჭარაული 2005). ეს ახსნა დიდად ანგარიშგასაწევია და უახლოვდება კიდევაც ლეონიძისეულ კონტექსტს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, სწორედ მთის დიალექტებიდან მოეპოვებინა იგი გიორგი ლეონიძეს (მაგრამ ჩვენ ამ სიტყვის წყარო მაინც სულხან-საბას „სიტყვის კონა“ გვგონია). ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ წინადადებაში სიტყვა **ქია** რიტმითაა განპირობებული: ყველას მწუნობარი ფუფალა ასეთ პასუხს შეაგებებს მოსაუბრეს: „ვინ არის? **ჩია** თუ **ქია**? გინდაც **ფთია** იყოს“ (30, 3): **ჩია – ქია – ფთია** (ნაცვლად **ფრთიანისა**).

ზანგელა – „შავ-წითელი“ (საბა 1966). ძირეული სიტყვა ზანგი და მისგან ნაწარმოები ზანგელა, ზანგულა, გაზანგული... – დიალექტებში გვხვდება, მაგრამ განსხვავებული სემანტიკით: იმერულსა და გურულში: ზანგი, ზანგიანი, გაზანგული არის – ჭუჭყი, გასვრილი, ჭუჭყიანი, ჭუჭყით გაშავებული. აჭარულსა და ქართლურში ეს სიტყვა ჩვენთვის საინტერესო ფორმით დასტურდება – **ზანგელა**. ქართლურში ნიშნავს **ზანტს**, **ზარმაცს**, ხოლო აჭარულში – თხუპნიას, თხუნიას (ქეგლ 1955).

გიორგი ლეონიძის ტექსტი საბასეულ განმარტებას უჭერს მხარს (ფერს აღნიშნავს): (ზანგელა – შავ-წითელი): „ეხლაც თვალინ მიდგას **ზანგელა**, დაგიშრულქოჩრიანი, ჯიდათვალება, დაგეშილ მიმინოსავით ტანსწრაფი...“ (ლეონიძე 1980: 80, 11).

ლუმბა – საბას მიხედვით, ლუმბა არის საჭედარი ცხენისა თუ ფერხთსაცმელისა (საბა 1965), ე. ი. იგივე ნალი, მაგრამ საბა შენიშნავს, რომ **ნალი** სხვათა ენაა, ქართულად **საჭედარი** და **ლუმბა** ჰქვიან (იქვე). **ლუმბა** შეტანილია ქეგლშიც და გ. ლეონიძის სიტყვებითაა დამოწმებული.

ქართული სახელწოდებებიდან – **ლუმბა** და **საჭედარი** – გიორგი ლეონიძე **ლუმბას** ანიჭებს უპირატესობას, როგორც კეთილხმოვანსა და ორმარცვლიან სიტყვას: „გამოჩნდა რკალი ახალი მთვარისა, ვერცხლის **ლუმბა**“ (ლეონიძე 1980: 60) და მას მეტაფორული მნიშვნელობით ხმარობს და როგორც მოყვანილი ნიმუშიდან ჩანს, იშვიათ „მხედველობითს ხატს“ ქმნის (**რკალი ახალი მთვარისა – ვერცხლის ლუმბა**).

ოთხივე სიტყვა: **ჩარა**, **ქია**, **ზანგელა**, **ლუმბა** – დასტურდება ქეგლში, ახსნილია საბას მიხედვით, რადგან თანამედროვე ქართულში ისინი აქტიური სიტყვებია; ამიტომვე **ქია** და **ზანგე-**

ლა მაგალითების გარეშე განმარტებული, ხოლო **ჩარა** და **ლუმბა** დამოწმებულია გიორგი ლეონიძის ილუსტრაციით. ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ ამ სიტყვების წყარო საბას ლექსიკონია.

ზოგი სიტყვა – **კრჩხიალი**, **გვიძინი**, **ზრინვა** – მართალია, გ. ლეონიძესთან საბას ლექსიკონში დადასტურებული ფორმით გვხვდება, მაგრამ მათი მნიშვნელობა რამდენადმე გაფართოებულია. მაგალითად, **კრჩხიალი** საბასთან განმარტებულია როგორც „დიაცთ კივილი“ (საბა 1965), გიორგი ლეონიძის პროზაში კი **კრჩხიალი** ნიშნავს ყოველგვარ ხმაურს: წივილს, კივილს, ზრიალს... ტექსტი ასეთია: „უეცრად ტყიდან ... გამოვარდა ასპიტი, მარბიელი ელდაქარი **კრჩხიალითა** და წივილით“ (123, 6).

იგივე ითქმის სიტყვაზე **გვიძინი**. საბას მიხედვით, „მტრედი ველური“ (საბა 1965). გ. ლეონიძე კი ამ სიტყვას მტრედის ეპითეტად ხმარობს (თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს კერძო შემთხვევა იყოს): ერთ-ერთ პასაჟში დიდება ლელაური ასე ეფერება მარიტას: „ვარდის ჩიტო! პატარა **მტრედო გვიძინა!**“ (ლეონიძე 1980: 189) – სინტაგმაში **მტრედო გვიძინა**, ვფიქრობ, მოიაზრება არა სიველეურე, არამედ – **პირველყოფილი სიწმინდე**. ეს გამოთქმა მარიტას მეტაფორული ეპითეტია.

სხვა ნიმუშია **ზრინვა**. საბას განმარტებით, „ჯართ დათქრი-ალეზა“ (საბა 1965), იქვეა მითითებული **ღალადება**, სადაც ცალცალკეა ახსნილი სხვადასხვა სახის ხმაური: კივილი, ყივილი, ყყანი და სხვა, მათ შორის **ზრინვაც**. „ზრინვა არის მტერთა განრომილთა კაცთაგან სასიხარულო ხმა-ყოფით ღალადება“ (საბა 1966).

გ. ლეონიძესთან ეს სიტყვა დამოუკიდებლადაც გვხვდება და კომპოზიციის შემადგენელ ნაწილადაც. პირველ შემთხვევაში მას რამდენადმე შერჩენილი აქვს ძველქართული მნიშვნელობა. ვფიქრობთ, რომ მოთხრობაში „სახელის მილოცვა“ **ზრინვა** სიკვდილზე გამარჯვებული ადამიანის ხმიანობას გულისხმობს და საბასეულ განმარტებას უახლოვდება. ტექსტი ასეთია: „ისმოდა ზარის დამცემი, გულის შემძვრელი, ცრემლში დასველებული, **მაინც კაჟიანი, გავარვარებული სიტყვები...** სამშობლოსათვის სისხლდათხეულებს ცრემლითა და ღვინით იგონებდნენ. ვაჟკაცთა სულთქმა, საქები სიტყვა და დედაკაცების ცრემლიანი **ზრინვა** გაზაფხულის დილის ნიავს მიჰქონდა...“ (ლეონიძე 1980: 85).

მაგრამ, როდესაც ეს სიტყვა კომპოზიტის შემადგენელი ნაწილია, აქ მისი მნიშვნელობა რამდენადმე განსხვავებულია: მწუხარების გამომხატველ ხმიანობას აღნიშნავს. ავტორი გვაუწყებს, რომ ერთ-ერთი პერსონაჟის დაკარგვის გამო „ატყდა **ზრინვა**-ტირილი, ვაი-უშველებელი“ (იქვე: 253).

გ. ლეონიძის ენაში ბევრი ნაწარმოები სიტყვაა. ზოგი მათგანი ამკარად საბასეულ ძირეულ ლექსიკას ეფუძნება. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა **აზეზილი**. ეს სიტყვა ქეგლის მიხედვით ნიშნავს **ამრეზილს, ჯავრიანს**, მაგრამ ამგვარი ახსნა ვერ განმარტავს გ. ლეონიძისეულ ტექსტს:

„გრიანებდნენ ჩანჩქერები

აზეზილი მარჯნის სხვიით“ (ლეონიძე 1984: 259).

ამ შემთხვევაში ამკარაა, რომ **აზეზილი** დაკავშირებულია სიტყვასთან **ზეზი**, რომელსაც ასე განმარტავს საბა: „**ზეზი** არს ორფერი ძაფი თუ ძაფი და სირმა ერთად შესთული“ (საბა 1965) და იქვე: „თუ ოქროს თმა ძაფსა შეასთო, **ზეზი** არს“. **ზეზი** განმარტებულია ქეგლშიც როგორც ერთგვარი სამოსი (ამგვარი ძაფისა) და იქვე ივ. ჯავახიშვილის სიტყვებია ნიმუშად „ფერად-ფერადი ფესვედი ოქროიანი ბისონი და **ზეზი**“ (ქეგლ 1953).

გ. ლეონიძისეულ **აზეზილში** სწორედ ეს ფერად-ფერადი მნიშვნელობაა ჩაქსოვილი.

მსგავსი ნიმუშია **ახვეტილი**, რომელიც ნახმარია **ალაღებულის** მნიშვნელობით. ეს სიტყვა საბას ლექსიკონში არ გვხვდება, მაგრამ დასტურდება **ხვეტა** და **ხუესტი**. **ხვეტა** ახსნილია „**აფხეკასავით**“, ხოლო **ხუესტი** – „**ლადივით**“ (საბა 1966).

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ გ. ლეონიძეს ან **ხუესტი** სიტყვისაგან უწარმოებია **ახუესტილი** (ალაღებული), სადაც შემდეგ **ს** თანხმოვანი დაიკარგა, ან იმის გამო, რომ ეს სიტყვები (**ხვეტა** და **ხუესტი**) ბგერწერით ჰგვანან ერთმანეთს **ახვეტილში** თამამად ჩაუქსოვია **ახუესტილის** მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ავტოგრაფი არ არსებობს, რომ დაგვხმარებოდა ამის დადგენაში. ამ სიტყვის შინაარსს კი თვით ავტორი ხსნის მარჯვედ შერჩეული სინონიმებით: ახვეტილი // ასვეტილი // ალაღებული // ათქვირებული. ერთ-ერთ დაუმთავრებელ მოთხრობაში („პატარა ტამალია“) ვკითხულობთ: „აზატია და ალაღებული ტამალის ტყე.

ახვეტილა. ასვეტილა ათქვირებული ტყე ხორციანი, შრიალა“ (506, 20).

ახვეტილის იგივე მნიშვნელობა ჩანს „ოლეშიც“.

„ტყე გემახის **ახვეტილი**

ფალავნების ჯარით,

როგორც ვაჟი არხვატელი

შავს ჩოხაში მჯდარი“ (ლეონიძე 2000: 204).

საბას ლექსიკონი უნდა იყოს წყარო ნაწარმოები სიტყვები-სა: **ნაენავი** და **ორენა**.

ნაენავი – ერთ ნათქვამი (საბა), ანუ ნალაპარაკევი, გაჭორილი. ეს სიტყვა გ. ლეონიძესთანაც ამ მნიშვნელობისაა:

„ბალბალუკას **ნაენავი**, ჭორშესხმული ამბავი მივიდა სოფლის მეუფროსემდის“ (405, 1).

სიტყვა **ნაენავი** თავის ლექსიკონში შეუტანია დ. ჩუბინაშვილს, ქეგლში კი არ დასტურდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გ. ლეონიძისთვის ამ სიტყვის წყარო საბას ლექსიკონია და მისი გააქტიურება მწერლის მიერ ამ სიტყვის გაცოცხლების მცდელობაა.

მეორე სიტყვის – **ორენას** წყაროც „სიტყვის კონა“ უნდა იყოს, თუმცა ტექსტის მიხედვით ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ჩანს:

„რამდენი სიტყვაც კი არსებობდა ამ ქვეყანაზე, სულ აქ იყო შენაჯგუფარი: ენამძლე, ენაგესლი, ენაქლარცი, ენამორბედი, **ორენა**“ (230, 5).

საბა ამ სიტყვის მხოლოდ ერთ მნიშვნელობაზე მიუთითებს:

ორენა – ორპირი კაცი (საბა), ქეგლში კი ორი მნიშვნელობაა დაფიქსირებული:

ორენა – 1. **ორპირი** (ლიტ. მასალით არაა დამოწმებული);
2. **ყბედი** (დამოწმებულია ევ. გაბაშვილი).

ამ სიტყვას (ორენას) იცნობს ქართლური დიალექტური ლექსიკონიც:

ორენა – ორპირი ადამიანი (ქართლური 1981).

რაკი **ორენას** პირველი მნიშვნელობის ასახსნელად ლიტერატურული მასალა არაა მოხმობილი (ქეგლ VI: 1960), ეს იმას

ნიშნას, რომ ფართოდ გავრცელებული სიტყვა არ ჩანს;¹ მაგრამ ისიც ივარაუდება, რომ გ. ლეონიძე, შესაძლოა, ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობას ააქტიურებდეს.

ნაწარმოებ ლექსიკაში ხშირად გვხვდება ზმნაც. ასეთია, მაგალითად: **ზასრობდა**. ეს სიტყვა, როგორც ზმნური ფორმა, არც ქეგლშია, არც საბასთან. ორივეგან გვხვდება საწყისი ფორმა – **ზასრობა**.

ქეგლის მიხედვით, **ზასრობა** ნიშნავს ჭრას ზასრი იარაღით, ანუ **ზასვრას** (ქეგლ 1950).

ახალ ქართულში ეს სიტყვა ფიგურალურადაც უხმარიათ:

„თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერსა

ზასრობას“ (ბარათაშვილი 1954: 39).

ძველ ქართულში კი **ზასრობა** ნიშნავს გაკიცხვას, გმობას: „ზასრობა – გადამეტებული გაკიცხვა“ (საბა 1965).

სწორედ ამ უკანასკნელ მნიშვნელობას ეფუძნება გ. ლეონიძისეული ნასახელარი ზმნა **ზასრობდა**:

„სალაყბოზე სხვათა განკილვა-განქიქებაში ყველაზე მეტად **ზასრობდა** ენით მქლემელი ქარცეცხლა“ (ლეონიძე 1980: 27).

გაკიცხვა-განქიქება რომ მართლაც გადამეტებულია, ამაზე მიუთითებს წინადადების სხვა წევრებიც, კერძოდ: „**ენით მქლემელი**“ (ენით მზასრავი, ენით დამკოდავი, ენით მთლელი, ენით მხერხავი, ენით მგლეჯავი. ქეგლ 1958), ასევე – საკუთარი სახელი „**ქარცეცხლა**“, რომელიც კომენტარს აღარ საჭიროებს.

გიორგი ლეონიძე ზოგჯერ ისეთ ლექსიკურ ერთეულებსაც ააქტიურებს, რომლებიც საბას ლექსიკონში შეტანილია, მაგრამ განუ-მარტავი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საბასდროინდელ ქართულში ეს სიტყვები ფართოდ არ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ასეთია, მაგალითად, სიტყვა **ზარიფი**. იგი არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს **კობტას**, მოხდენილს (ქეგლ).

აღორძინების ხანის მწერლობაში (საბას შემდგომ, ცოტა მოგვიანებით), კერძოდ, ბესიკის პოეზიაში ეს სიტყვა სწორედ ამ ფორმითა და მნიშვნელობით დასტურდება:

¹ „ნატვრის ხე“ პირველად 1962 წელს დაისტამბა, თუმცა დროდადრო ჟურნალებში იბეჭდებოდა ცალკეული მოთხრობები.

„ზარიფნი წელნი, ქვეყნისა მწველნი“.

ამავე მნიშვნელობით გვხვდება გ. ლეონიძესთანაც:

„ერთი ხარ და **ზარიფი**, ათას ყვავილს სჯობიხარ“.

ამ სიტყვის წყაროც საბას „სიტყვის კონაა“ და არა ქეგლი (IV ტ.), რომელიც 1955 წელს გამოიცა, გ. ლეონიძის ლექსი კი („ლელის“) 1914 წელსაა დაწერილი. ისე რომ, ამ სიტყვის წყარო მხოლოდ საბა შეიძლება იყოს, ან – თვით ბესიკის პოეზია, რომელსაც გ. ლეონიძე კარგად იცნობდა.

საგანგებოდ ჩანს შერჩეული გ. ლეონიძის „ნატურის ხეში“ საკუთარი სახელი **მარიტა**. საბას განმარტებით, **მარიტა (მარიტა)** „მას ცის გრკალსა ეწოდების, რომელსა ბუნობასა მზე მას ზედა ვალს, გასწორებასა დღისა და ღამისასა“.

გ. ლეონიძეც მარიტას სილამაზეს ცთომილებს – მზესა და მთვარეს – უკავშირებს. ავტორის სიტყვით, „**მარიტა** თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა, ქალი კი არა, მთვარის გამოსახულება იყო“ (ლეონიძე 1980: 185) და იქვე: „შენ „მზევარ“ უნდა გერქვას, „მზევინარა,“ – ბევრჯერ უთქვამთ მარიტასთვის (185, 10). ვფიქრობთ, მარიტას მზესთან წილნაყარობის მიმანიშნებელია ამ მოთხრობის პირველივე წინადადება სათაურის შემდეგ: „ვის არ უყვარს **მზე?**“ (იქვე).

გ. ლეონიძის „ნატურის ხეში“ ყურადღებას იქცევს ზოგი შესიტყვებაც: მაგ.: **აბუჩა სტუმარი**, რომელიც თანამედროვე ქართულში თითქმის აღარ იხმარება (თუმცა შესაძლოა რომელიმე დიალექტში კიდევაც შეგვხვდეს). ქეგლში **აბუჩი** ახსნილია საბას მიხედვით; ახლავს დამატებითი ახსნა-განმარტებაც (დაუპატიჟებელი): „აბუჩი – უხამსი (დაუპატიჟებელი) სტუმარი“ (საბა), (ქეგლ 1950). გ. ლეონიძის პროზაში სწორედ საბასეული შესიტყვება გვხვდება: „შენ ვინა გკითხავს, **აბუჩა სტუმარი** ხარო...“ (ლეონიძე 1980: 115).

პოეტს იმდენად ხიბლავს ახალი, გაუცვეთელი ლექსიკა-ფრაზეოლოგია, რომ ზოგჯერ ლექსიკის შინაარსი ფორმას ეწირება.

ამის ნიმუშია, მაგალითად, „მზე ტაბასტა“, რომელშიც, როგორც შენიშნავენ (გომართელი 1996: 13), სიმბოლისტური ხასიათის ლექსიკისათვის უჩვეულო მიწიერება და მატერიალიზებული იგრძნობა, მაგრამ, ამასთანავე, ზოგი სტრიქონი ყურადღე-

ბას იქცევს სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ბუნდოვანებითა და ალოგიკურობით. იქვე მოყვანილია ციტატა დასახელებული ლექსიდან:

„მზეს განედლებულ მუძუებზედ მოეხსნა **ჩირთი**,
სდგას, როგორც სისხლის **ტახასტაში** გამსკდარი საშო“.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეთათვის ზოგი სიტყვის მნიშვნელობა (**ჩირთი** – ახალი, ჩვილი ფურცელი; **ტახასტა** – სისხლის დინება) უცნობია და აზრი, მართლაც, ბუნდოვანია, ისიც სავარაუდოა, რომ ასეთი სიმბოლიზება და „იგავურობა“, შესაძლოა, აზრის მეტაფორულად გამოხატვის შემთხვევა იყოს (რომლის ახსნაც ჭირს!), ვიდრე ალოგიკურობა.

ვფიქრობთ, რომ ორივე სიტყვის წყარო საბას ლექსიკონია, თუმცა შესაძლოა, სიტყვა **ჩირთი** მთის კილოებსაც შთაეგონებინა პოეტისათვის, რადგან ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია იქ და ორი მნიშვნელობით დასტურდება:

1. ახალი, ჩვილი ფურცელი (საბა, აღ. ჭინჭ.).
2. ახლად გახსნილი კვირტი (თ. რაზივ. ქეგლ).

სიახლით გამორჩეული ამგვარი ლექსიკა დამახასიათებელია უფრო გიორგი ლეონიძის ადრეული პერიოდის ლექსებისათვის. ეს ბუნებრივიცაა. ეს იყო „ცისფერყანწელებთან“ დაახლოების პერიოდი. გიორგი ლეონიძემ, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ოცნებობდა „ალმასის სიტყვებსა“ და თავისთავადობაზე, უყოყმანოდ გაიზიარა „ცისფერყანწელთა“ პოეტური კრედო – ლტოლვა ფორმოზრივი სიახლისაკენ. სიმბოლისტებში მას ხიბლავდა ტექნიკური სიმდიდრე, ფორმოზრივი სიახლე, ძიება, ბრძოლა რითმისათვის და ლექსის მუსიკალობისათვის (გომართელი 1996: 13).

პოეტის ამგვარი გატაცება (სიახლით გამორჩეული ლექსიკა-ფრაზეოლოგიითა და რიტმული პროზით) იმ ახალი ლიტერატურული ტენდენციების გამოვლენა იყო, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული რუსულსა და ევროპულ ლიტერატურაში (გაწერელია 1935: 256).

გ. ლეონიძე 20-იანი წლების პოეზიაში აშკარად გამოხატავდა სიმპათიებს ფრანგი სიმბოლისტებისადმი და „ცისფერყანწელთა“ პოეტური კრედოც უყოყმანოდ მიიღო. ვფიქრობთ, იგი შინაგანად შემზადებულიც იყო გაეზიარებინა ეს ახალი ლიტერა-

ტურული ტენდენციები, რადგან ძველ ქართულ მწერლობაზე აღრზდილი პოეტისთვის რიტმული პროზის ბალავარი უპირველესად ძველი ქართული მწერლობა იყო, უადრესად ნორმირებული და რიტმული. დაგემოვნებული ჰქონდა საბას მდიდარი ლექსიკა და რიტმული პროზა.

გრ. კიკნაძე ძველი ქართული პროზის რიტმულობაზე მსჯელობისას საგანგებოდ ეხება სულხან-საბა ორბელიანის პროზას და შენიშნავს: „სულხან-საბა ორბელიანის... პროზის ტექსტს თუ დავტეხავთ, პირდაპირ ლექსს მივიღებთ.“ იქვეა მაგალითიც:

„მამამ შვილი შვას ესეთი და
მზრდელმან აღზარდის მსგავსი ამისი:
სიმდიდრით თხოველი,
წყალობით შოვილი,
მე
ჩვენებით ნახული,
სიბრძნით დასახული
ლეონ“ (კიკნაძე 1957: 55-56).

ასე რომ, სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება შეიძლება ბოდა ყოფილიყო გ. ლეონიძისათვის არა მხოლოდ ლექსიკის ერთ-ერთი წყარო, არამედ რიტმისაც (რაც, ცხადია, სპეციალურ კვლევას მოითხოვს).

გ. ლეონიძის ამგვარ ენობრივ პოზიციას უთუოდ განამტკიცებდა ვ. ბარნოვთან სიახლოვეც (ვ. ბარნოვი მას სემინარიაში ასწავლიდა), რომლის შეხედულებებს მწერლის ენაზე და ლექსიკა-ფრაზეოლოგიით მდიდარ რიტმულ პროზას იგი სიყრმიდანვე იცნობდა (კოშორიძე 2005: 77-78).

მასწავლებლის სულიერება ერთგვარად გაგრძელდა გ. ლეონიძის შემოქმედებაში ისე, რომ მან საკუთარი პოეტური ხმა შეინარჩუნა.

„არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,
ნარტყამი ხმალი სააკაძისა...
არ მინდა სირჩა სხვისი ნასვამი,
ვარსკვლავი სხვისი შარავანდითა,
სხვის იალქანი ათრთოლებული!
მე მიპოვნია ჩემი სიმღერა...“

(ლეონიძე 2008: 115).

– წერდა იგი და „თითქოს უცხო ჰანგს საგანგებოდ იმისთვის ეწაფებოდა, რომ საკუთარი ყველასაგან გამორჩეულიყო; ფართო თვალსაწიერით სწორედ იმისთვის ჭვრეტდა სხვათა ნავალ ბილიკებს პარნასისაკენ, რათა საკუთარი გზა გაეწალდა“ (კვაჭანტირაძე 1984: 3).

პოეტს ბოლომდე გაჰყვა ლტოლვა სიახლისაკენ და საგულისხმოა, რომ იგი პროზაშიც პოეტად დარჩა (კოშორიძე 2009: 70).

ამრიგად, რიტმულობასთან ერთად გიორგი ლეონიძის ენის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა სალიტერატურო ენისათვის დაუნჯებული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გაცოცხლება და ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანა სალიტერატურო ქართულში (მათ შორის – ზოგჯერ ხელოვნური ფორმისაც). ამ მხრივ, იგი ერთგული მოწაფეა გამოჩენილი ქართველი მწერლის – ვასილ ბარნოვისა, რომელიც დიდად აფასებდა მწერლის გამორჩეულებას ორიგინალური ენითა და სტილით, ხოლო პროზის ენის აუცილებელ პირობად რიტმულობასა და მდიდარ ლექსიკა-ფრაზეოლოგიას თვლიდა (კოშორიძე 1966: 30).

საბას ლექსიკონში აშკარად ჩანს ხალხური მეტყველების წიადიდან მოპოვებული ლექსიკის გააქტიურების ცდაც. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მცენარეთა სახელწოდებები, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანს ხალხის წიადიდან მოუპოვებია. ესენია: ავშანი, ანწლი, ხეთუფალა, ხაჭიჭორა, ძირტკბილა, ღრინჭოლა, პირბამბა და სხვ.

ცნობილია, რომ თითოეულ ბალახსა თუ მცენარეს სამი-ოთხი და ზოგჯერ მეტი დიალექტური ვარიანტი აქვს, მაგრამ ამ ვარიანტებს საბა არ ასახელებს. ეს ვარიანტები ან უცნობია მისთვის, ან ეჭვი ეპარება მათს იდენტურობაში.

საგულისხმოა ისიც, რომ ორიენტაცია აღებულია აღმოსავლურ კილოებზე: ლექსიკონში ძირითადად აღმოსავლური კილოებიდან მოპოვებული სახელწოდებებია გამოტანილი. მაგალითად, ქართლური კილოდან: **ღრინჭოლა**, **ხეთუფალა**, **შაღვა**, **პირბამბა** (აჭარულშიც გვხვდება), ფშავ-ხევსურულიდან და გარეკახურიდან – **ავშანი**, **ხაჭიჭორა**, **ძირტკბილა** (მოხეურში, მთიულეთსა და იმერულ-ლექსუმურშიც გვხვდება) და სხვ. ეს ლექსიკა გ. ლეონიძისთვისაც ახლობელი აღმოჩნდა.

გიორგი ლეონიძის მოთხრობებში აშკარად ჩანს მცენარეთა სახელწოდებების გააქტიურების ცდა. მაგალითად, **დრინკოლა** გვხვდება მეტსახელად, **დუდღუბა** – ქალის სახელად, **პირზამზა** – მოხუცის ეპითეტად, ხოლო სხვა მცენარეები დასახელებულია, როგორც გარკვეული კუთხისთვის დამახასიათებელი ფლორა.

ხალხის წიალიდან მოპოვებულ ლექსიკას გიორგი ლეონიძეც, თავისი დიდი წინაპრის მსგავსად, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც გამოხატა კიდევ სულხან-საბასადმი მიძღვნილ ლექსში:

„შენ სამკურნალო ბალახებივით

მოგიკრეფია სიტყვა ქართული“ (ლეონიძე 2000: 165).

მართლაც რომ, მკურნალად მოევიწიე სულხან-საბა დედა-ენას. „სიტყვის კონამ“ ითავა ისტორიული მწიგნობრით შერყვნილი ქართული ენის აღსადგენად მისი უმდიდრესი ლექსიკის თავმოყრა, გამოძეურება და განმტკიცება (კობალაძე 1989: 100).

გიორგი ლეონიძეს სწორედ ასე ესმოდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ისტორიული მნიშვნელობა. ამიტომ მის შემოქმედებაში საბას ლექსიკონიდან შესული სიტყვები უთუოდ იყო არა მხოლოდ „აღმასის სიტყვების“ ძიება, არამედ – ენაში დაუნჯებული ლექსიკის გაცოცხლებაც და ამ გზით ენის განედლებისა და გამდიდრების ერთგვარი მცდელობაც.

ლიტერატურა

ბელი 1935 – ა. ბელი და რიტმის პრობლემა, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 5, თბილისი.

გომართელი 1996 – ა. გომართელი, უნივერსიტეტი სკოლას („თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით“), თბილისი.

კვაჭანტირაძე 1984 – თ. კვაჭანტირაძე, „ხმამალიანი“, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №4, თბილისი.

კიკნაძე 1957 – გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი.

კობალაძე 1983 – მ. კობალაძე, საენათმეცნიერო ძიებანი, თსუ გამ., თბილისი.

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

კოშორიძე 2009 – ე. კოშორიძე, გიორგი ლეონიძე – პროზისა და პოეზიის ზღვარზე, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XIX, თბილისი.

ლეონიძე 1958 – გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი.

ლეონიძე 1980 – გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, „ნაკადული“, თბილისი.

ლეონიძე 1984 – გიორგი ლეონიძე წიგნში: XX საუკუნის პოეზია, „ნაკადული“ (სერია „ქართული პოეზია“, ტ. 14), თბილისი.

ლეონიძე 2000 – გ. ლეონიძე, „საქართველოს ცრემლები“, ლექსები შედგენილი ნესტან ლეონიძის მიერ, თბილისი.

ლეონიძე 2008 – გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, პოეზია, პროზა, „ნაკადული“ (სერია: ბიბლიოთეკა ზავშვებვისათვის), თბილისი.

საბა 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. IV₁, ლექსიკონი ქართული, გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

საბა 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. IV₂, ლექსიკონი ქართული, გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ქართლური 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე. რედაქტორი მ. ჭაბაშვილი, „მეცნიერება“, თბილისი.

ქეგლ 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8-ტომეული), პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, რედაქტორი პროფ. ავთ. არაბული, „ქართული ენა“, თბილისი.